**სააქციო საზოგადაობა „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“**
**აქციონერთა წლიური საერთო კრების**
**ოქმი №1/2020**

ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14
ჩატარების თარიღი: 2020 წლის 7 ივლისი
კრების დაწყების დრო: 11 საათი 00 წუთი

სააღრიცხვო თარიღი: 2020 წლის 12 ივნისი.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევის შესახებ 2020 წლის 15 ივნისს შეტყობინება გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, საიტზე www.matsne.gov.ge.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებას გააჩნია უფლებამოსილება, ვინაიდან დარეგისტრირებულია და კრებას ესწრება აქციონერი, რომელსაც ხმის უფლების მქონე აქციათა 97.384322 % ეკუთვნის. კვორუმი შედგა.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის თანახმად, ბანკის აქციონერთა წლიურ საერთო კრებას თავმჯდომარეობდა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი არჩილ რესანის ძე კონცელიძე.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივანია კორპორატიული მდივანი ლენა ბესიკის ასული ბაკურაძე.

**4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით „სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ 2019 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ“**

**მოისმინეს:** სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორის მ.ვ. მენთეშაშვილის ინფორმაცია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ 2019 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ წესდების 5.10 პუნქტის «k» ქვეპუნქტის შესაბამისად.

**კენჭისყრაზე დასმული საკითხის გადაწყვეტილების პროექტი:**
საქართველოს ეროვნული ბანკის პრუდენციული სავალდებულო ნორმატივების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ბანკის 2019 წლის შედეგების მიხედვით მიღებული მოგება 13 656 751 (ცამეტი მილიონ ექვსას ორმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით არ განაწილდეს და დივიდენდები არ გაიცეს.

**კენჭისყრის შედეგები:**

მხარი დაუჭირეს – 203 541 293 ხმა, რაც ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობის 97.384322 % შეადგენს;

წინააღმდეგ მისცეს ხმა – არა;

თავი შეიკავეს – არა.

**გადაწყვეტილება მიღებულია.**

**დაადგინეს:**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრუდენციული სავალდებულო ნორმატივების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ბანკის 2019 წლის შედეგების მიხედვით მიღებული მოგება 13 656 751 (ცამეტი მილიონ ექვსას ორმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით არ განაწილდეს და დივიდენდები არ გაიცეს.

ბანკის აქციონერთა წლიური
საერთო კრების თავმჯდომარე ხელმოწერილია ა. რ. კონცელიძე

კორპორატიული მდივანი ხელმოწერილია ლ. ბ. ბაკურაძე